

7 ივნისი, 2022

საკონტაქტო პირი:

ხატია ბუხრაშვილი

ოფისი: 995 32 298 81 76

მობ: +995 599 044 077

ელ. ფოსტა: khatia.b@icc.ge

პრეს რელიზი

საერთაშორისო სავაჭრო პალატა საქართველოში არ დაესწრება დღეს, 2022 წლის 7 ივნისს დაგეგმილ ინვესტორთა საბჭოს, რომელსაც თავმჯდომარეობს პრემიერ მინისტრი.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა საქართველოში არ დაესწრება დღეს, 2022 წლის 7 ივნისს დაგეგმილ ინვესტორთა საბჭოს სხდომას, რომელსაც თავმჯდომარეობს პრემიერ მინისტრი, უსაფრთხოების სამსახურის მიერ რეზიდენტობის თვითნებური გაუქმების/ჩამორთმევის საკითხის დღის წესრიგიდან ბოლო წუთში მოხსნის გამო, რაც უკვე წლებია არის ნომერ პირველი დაბრკოლება საქართველოში უცხოური ინვესტიციებისთვის.

„ინვესტორთა საბჭოს პრემიერ მინისტრთან შეხვედრა იქცა თეატრალურ წარმოდგენად, სადაც ყველა განსახილველი საკითხი სხდომამდე წინასწარ იდგმება, მსახიობებს ეუბნებიან რა უნდა თქვან ან არ უნდა თქვან, და ყველა პრობლემური საკითხი, რომელმაც შეიძლება მთავრობა გაანაწყენოს, ამოღებულია დღის წესრიგიდან, რათა არ მოხდეს საკითხის განხილვა; წლებია, რეზიდენტობის ნებართვის საკითხი სისტემატურად წამოიჭრება ინვესტორთა საბჭოზე ICC-Georgia-ს მიერ და ყოველთვის, როცა საკითხი დგება, შეხვედრის წინ მისი დღის წესრიგიდან ამოღება ხდება“, - განაცხადა ფადი ასლიმ, ICC- Georgia-ს თავმჯდომარემ.

2013 წლიდან მოყოლებული უცხოური ინვესტიციები საქართველოში სრულ სტაგნაციაში მთავრობის არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამო უცხოელი ინვესტორებისადმი; უკვე წლებია, საქართველოში უსაფრთხოების სამსახური სისტემატურად ეუბნება უარს ბინადრობის ნებართვაზე უამრავ უცხოელ ინვესტორს, თვითნებურად აუქმებს ბინადრობის ნებართვებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მას შემდეგ რაც ეს ინვესტორები ინვესტიციებს განახორციელებენ ქვეყანაში, რამაც აიძულა ბევრი მათგანი ქვეყანა დაეტოვებინა და უარი ეთქვა საკუთარ ინვესტიციებზე.

ამ პრაქტიკამ საქართველოს საშინელი რეპუტაცია შესძინა საერთაშორისო დონეზე და უცხოელი ინვესტორების უმეტესობა საქართველოს ახლა ინვესტიციებისთვის არასანდო და საშიშ ადგილად აღიქვამს. სანამ მთავრობა ამ პოლიტიკას არ შეცვლის, მანამ საქართველოში ცოტა უცხოური ინვესტიცია იქნება და უმუშევრობის და სიღარიბის დონე დარჩება მაღალი.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა არის უმსხვილესი ბიზნეს ორგანიზაცია მსოფლიოში, რომელიც აერთიანებს 46 მილიონ ბიზნეს ორგანიზაციასა და 12.000 სავაჭრო პალატას. საერთაშორისო სავაჭრო პალატა რეგულარულად გადის კონსულტაციებს გლობალურ დონეზე ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა: G7, G20, მსოფლიო ბანკი, WTO, WCO და UN.